ც ნ ო ბ ა

დამკვეთი: მოქ. იზოლდა გოგოლაძე-ციცხვაია (599463771; 577462972)

საფუძველი: 09.12.2013წ. №12/1333332-16

მისამართი: ქ. თბილისი, სექტორი ვაკე, დელისის III ქუჩა, №22

საკ.კოდი: №01.72.14.036.445

პროექტის შეთანხმების შესახებ ბრძანება: №20/551 25.11.2004წ.
მშენებლობის ნებართვის შესახებ ბრძანება: №1010233 22.11.2013წ (AR1166682)

ფუნქციური დანიშნულება: ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი **II-კლასი**

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (16.12.13) დადგინდა:

სარდაფის სართულის გეგმაზე: „1-2“ მონაკვეთში შემცირებულია გარაჟის ფართი, „3-4“ მონაკვეთში „გ-ბ“ ღერძებს შორის გაუქმებულია კიბე და შეცვლილია გარაჟის სართულის საპროექტო ნიშნული და ფართი გამიჯნულია ორსართულიანი შენობისგან, ასევე ნაცვლად ბრტყელი გადახურვისა მოწყობილია ქანობიანი. „ბ-ა“ მონაკვეთში „2-2“ ღერძზე ნაცვლად კარისა მოწყობილია მინაბლოკის ღიობი, კედელი გასწორებულია ერთ ხაზზე და გაუქმებულია საფეხურები, ასევე შეცვლილია გარაჟის კარის გაბარიტები. „ბ-ა“ მონაკვეთში „1-1“ ღერძზე დამატებით მოწყობილია ფრამუგა. „2-6“ მონაკვეთში „გ-გ“ ღერძის გარეთ გაუქმებულია ფართი და „გ-გ“ ღერძზე დამატებით მოწყობილია ორი ფრამუგა და კარის ღიობი ამოშენებულია. „5-3“ მონაკვეთში „ზ-ზ“ ღერძზე გაუქმებულია მინაბლოკი და ღიობი ამოშენებულია. „დ-ზ“ მონაკვეთში „6-6“ ღერძზე გაუქმებულია ფრამუგები და ღიობები ამოშენებულია. „გ-დ“ მონაკვეთში ამავე ღერძზე გაზრდილია ფრამუგის გაბარიტი. „1-3“ მონაკვეთში გარაჟის ქვევით დამატებით მოწყობილია ფართი ზომებით 12.40X3.40XH1.90მ. „4-5“ მონაკვეთში „ა-ა“ ღერძის მიმდებარედ ღობეზე მოწყობილი კარი გადაადგილებულია, ხოლო „6-6“ ღერძის მიმდებარედ დამატებით მოწყობილია კარი.

პირველი სართულის გეგმაზე: „3-6“ მონაკვეთში „გ-გ“ ღერძის გარეთ შეცვლილია ტერასის ფორმა, შემცირებულია გაბარიტები, გაუქმებულია სვეტები და მის თავზე გადახურვა. „ზ-დ“ მონაკვეთში „3-3“ ღერძის გარეთ შეცვლილია აივნის ფილის კონფიგურაცია, შემცირებულია გაბარიტი და გაუქმებულია სვეტები. „დ-გ“ მონაკვეთში „3-3“ ღერძზე დამატებით მოწყობილია ფანჯარა. „ზ-ზ“ ღერძზე გაზრდილია მინაბლოკის გაბარიტები. „3-5“ მონაკვეთში „ბ-ბ“ ღერძის მიმდებარედ გაუქმებულია კიბე №2, ხოლო კიბე №1-ის გაგრძელებაზე დამატებით მოწყობილია ბაქანი და საფეხურები. „გ-დ“ მონაკვეთში „6-6“ ღერზზე დამატებით მოწყობილია ფრამუგა.

სახურავის გეგმაზე: შეცვლილია სახურავის კონფიგურაცია, მასალა, ფერი, კეხი დაწეულია და გაუქმებულია სამერცხლე. „3-6“ მონაკვეთში „გ-გ“ ღერძის გარეთ გაუქმებულია გადახურვები.

გენგეგმაზე: დამატებით მოწყობილია დამხმარე ფართი ზომებით 3.60X2.30XH2.30მ, ასევე დამატებით მოწყობილია კიბე. შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა.

ფასადებზე: შეცვლილია კარების, ფანჯრების და ფრამუგების გაბარიტი, ნახატი, მონაცვლებული აქვთ ადგილი და დამატებით მოწყობილია გისოსები. შეცვლილია

ყველა ფასადის ღებვა და არ არის შესრულებული რუსტით და დეკორატიული ლესვის სამუშაოები.

„ზ-ა“ ფასადზე: „ზ-გ“ მონაკვეთში რელიეფი დაწეულია. „ე-ე“ ღერძის მიმდებარედ სარდაფის სართულზე ნაცვლად ფრამუგისა მოწყობილია კარი. შემცირებულია საკვამურის სიმაღლე.

ტერიტორიის შემომსაზღვრელი ღობის ნაწილი გაცდენილია საკადასტრო წითელ ხაზებს.

ლ. ჯღარკავა